## “შახტიორი” (დონეცკი) – “დინამო” (თბილისი) 3:1

დონეცკი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 27 ოქტომბერი.

“შახტიორი” (დონეცკი) – “დინამო” (თბილისი) 3:1 (1:0).

“შახტიორი”: დეგტიარევი, იარემჩენკო, გორბუნოვი, კონდრატოვი (რუდაკოვი), პიანიხი, შევლიუკი, როგოვსკი, სოკოლოვსკი, სტარუხინი, ვასინი, საფონოვი (ფედორენკო).

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, დარასელია, დვალიშვილი (კოპალეიშვილი), წერეთელი.

მსაჯი: ვ. რუდნევი (მოსკოვი).

დუბლიორები – 3:0.

დონეცკის “შახტიორს” 27 ოქტომბრისთვის უკიდურესად მძიმე მდგომარეობა ჰქონდა საკავშირო ჩემპიონატში. გუნდს, რომელმაც შარშან ვერცხლის მედლები მოიპოვა, წლეულს გაზაფხულზე საპატიო V ადგილი დაიკავა და თასის ნახევარფინალშიც გავიდა, საშემოდგომოდ ისე წაუვიდა საქმე, რომ პირველ ლიგაში გადასვლის კანდიდატთა შორისაც კი აღმოჩნდა. მისი 8 ქულა 11 ტურის შემდეგ ვერ აკმაყოფილებდა უმაღლეს ლიგაში დარჩენის მინიმალურ მოთხოვნებსაც. გამარჯვება “შახტიორს” ჰაერივით სჭირდებოდა.

თბილისის “დინამოს” წინაშე სულ სხვა ამოცანები დგას. იგი საპრიზო ადგილის ერთ–ერთი მთავარი პრეტენდენტია, შეუძლია გაიმეოროს გაზაფხულზე მოპოვებული წარმატება, მაგრამ სატურნირო ცხრილში ახლა შექმნილი სიტუაციისას მასაც სჭირდება ქულათა მარაგის შევსება. ერთ მოგება–წაგებას შეუძლია საგრძნობლად გააუმჯობესოს ან გააუარესოს გუნდის მდგომარეობა.

ასეთ ვითარებაში ყოველ წვრილმანს, ყოველ დეტალს აქვს მნიშვნელობა, ეს “წვრილმანები” კი აშკარად სტუმრების საწინააღმდეგოდ იყო ამ დღეს: ჯერ ერთი, მათ არ ჰყავდათ წამყვანი თავდამსხმელები ყიფიანი და გუცაევი, და მეორეც – დონეცკში ძალზე ცუდი ამინდი იდგა: წვიმდა, ციოდა, ჩამოწვა სქელი ბურუსი.

მასპინძლებმა შეტევით დაიწყეს თამაში. მათს თავდამსხმელებს სისტემატურად ეხმარებოდნენ შუა და უკანა ხაზების მოთამაშეები, დინამოელთა დაცვას მძიმე სამუშო დააწვა, მათი კარი რამდენიმეჯერ გადაურჩა ხიფათს, ერთხელ სტარუხინმა ძელს მოახვედრა ბურთი.

ტაიმის დასასრულამდე დინამოელები წარმატებით იგერიებდნენ მეტოქის იერიშებს, მაგრამ 42–ე წუთზე იარემჩენკო წამით აღმოჩნდა ღია პოზიციაში და ძლიერად დაარტყა დაახლოებით 18–19 მეტრის მანძილიდან – 1:0.

შესვენების შემდეგ თამაშის მსვლელობაში საფუძვლიანი გარდატეხა მოხდა. თბილისელებმა შექმნეს კონტრთამაში, ამოქმედდა მათი თავდასხმის ხაზი, “შახტიორის” კართან ზედიზედ შექმნეს სახიფათო მომენტები ხინჩაგაშვილმა, დარასელიამ, წერეთელმა.

ასეთ ვითარებაში სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა “დინამოს” კარში გატანილი მეორე გოლი, რომელიც ფედორენკოს ეკუთვნის. მეშახტეთა კონტრიერიშისას, 63–ე წუთზე, მათი ერთ–ერთი მოთამაშე თამაშგარე მდგომარეობაში

აღმოჩნდა. გვერდითმა მსაჯმა ეს ფაქტი ალმის აწევით აღნიშნა, მაგრამ ვ. რუდნევმა ამას არ მიაქცია ყურადღება და კარი აღებულად ჩათვალა.

საინტერესოა, რომ "სოვეტსკი სპორტის" დონეცკელი კორესპონდენტი, რომლის რეცენზია გამოქვეყნებულია 28 ოქტომბრის ნომერში, ასე აღწერს ამ მომენტს: "...როცა მეორე გოლი გავიდა, გვერდით მსაჯს ალამი უკვე აწეული ჰქონდა წესის დარღვევის აღსანიშნავად. მიუხედავად ამისა, მინდვრის მსაჯმა გოლი მაინც ჩათვალა, რამაც შესამჩნევად გატეხა სტუმრები".

დინამოელებმა სცადეს შეცდომაში მსაჯი დაერწმუნებინათ, მაგრამ ვ. რუდნევი მტკიცედ იდგა თავისაზე. 2:0.

შემდგომში თბილისელებმა მაინც შეძლეს სხვაობის შემცირება ანგარიშში. როცა დარასელიამ ზუსტად, ძლიერად დაარტყა ბურთი მაღალ კუთხეში, გამოჩნდა მატჩის ხსნის იმედი, მაგრამ 83–ე წუთზე გოგიამ ვერ შეძლო ვასინის იოლი დარტყმის მოგერიება და გამარჯვებაც "შახტიორს" ხვდა წილად.

**"ლელო", 30 ოქტომბერი, 1976 წ.**